„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“
რექტორის 2025 წლის 26 აგვისტოს №192/01-01 ბრძანების საფუძველზე, ფსიქოლოგიის დეპარტამენტის განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გამოცხადებული ასისტენტ-პროფესორის კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 30 სექტემბრის №56/2025 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის

ოქმი N4 (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი 29 ოქტომბერი, 2025 წელი; 21:00
სთ; თსუ III კორპუსი, ოთახი №101

სხდომას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი:

1. თამარ გაგოშიძე - თსუ ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)
2. მანანა მელიქიშვილი - თსუ ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
3. ანასტასია ქიტიაშვილი - თსუ ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი (კომისიის მდივანი)
4. მზია წერეთელი -თსუ ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი
5. მანანა გაბაშვილი - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი
6. დიმიტრი ნადირაშვილი - წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში, თსუ-ის რექტორის 2025 წლის 26 აგვისტოს №192/01-01 ბრძანების საფუძველზე 1 ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის შეფასების პირველი და მეორე ეტაპებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

1. კომისიის თავმჯდომარემ პროფესორმა თამარ გაგოშიძემ წევრებს გააცნო ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების და კენჭისყრის შედეგების შესახებ.
2. კომისიის მიერ გაანალიზდა და შეჯერდა კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

მარიამ რევიშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე წარმოადგინა ყველა მოთხოვნის შესაბამისი დოკუმენტაცია.

შეფასების შედეგები:
I კატეგორია – ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან – *შეესაბამება მოთხოვნებს*;
II კატეგორია – პედაგოგიური გამოცდილება – *მაღალი შეფასება*;
III კატეგორია – სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა – *მაღალი შეფასება*;
IV კატეგორია – პროფესიული აქტივობა ბოლო 6 წლის განმავლობაში – *ხელს უწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებასა და თსუ-ის განვითარებას – მაღალი შეფასება.*

მარიამ რევიშვილი რამდენიმე წელია ჩართულია თსუ-ის სასწავლო პროცესში, უძღვება სემინარებსა და კურსებს, გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობით, პროფესიული ეთიკითა და ინოვაციური ხედვით. მისი სადისერტაციო ნაშრომი ასევე შეეხებოდა აქტუაყრ საკითხს "ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლის თვითრეგულაციის ფსიქოლოგიური მექანიზმები".მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს განათლების ფსიქოლოგიის თანამედროვე თემებს — სტუდენტთა მოტივაციის, აკადემიური კეთილდღეობის, თვითეფექტურობისა და პლაგიატის აღქმის საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ მარიამ რევიშვილმა დისერტაცია 2025 წელს დაიცვა, უკვე გამოაქვეყნებული აქვს რამდენიმე სტატია, მათ შორის მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში. მისი **ციტირების ინდექსია (6)** აჩვენებს, რომ მას გააჩნია კვლევითი პოტენციალი და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჩართულობა.

გასაუბრებისას მარიამ რევიშვილმა წარმოაჩინა მაღალი მოტივაცია და მკაფიო ხედვა ასისტენტ-პროფესორის პოზიციისადმი. მან აღნიშნა, რომ მისი მთავარი მიზანია კვლევითი საქმიანობის გაგრძელება და დისერტაციის ფარგლებში დაწყებული თემის გაღრმავება, ასევე ახალი კვლევითი მიმართულებების განვითარება განათლების ფსიქოლოგიის სფეროში. კანდიდატმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სწავლების პროცესზე, სტუდენტებთან უშუალო ურთიერთობის მნიშვნელობაზე და საკუთარი პროფესიული ზრდის საჭიროებაზე როგორც მკვლევარის, ისე ლექტორის როლში.

ინსტიტუციური გამოწვევების განხილვისას რევიშვილმა ყურადღება გაამახვილა შიდა კვლევითი დაფინანსების მნიშვნელობაზე და განიხილა კონკრეტული გაუმჯობესების გზები — შიდა გრანტების სისტემის გაძლიერება, კონფერენციების მხარდაჭერა და ინფრასტრუქტურული განვითარების უზრუნველყოფა. ეს მიდგომა ასახავს მის ხედვას უნივერსიტეტის კვლევითი გარემოს მდგრადი გაძლიერებისკენ.

სწავლების პრაქტიკულ ნაწილზე საუბრისას კანდიდატმა მოიყვანა აქტუალური მაგალითები. ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დაასახელა პლაგიატი და ხელოვნური ინტელექტის არაკეთლსინდისიერი გამოყენება სტუდენტურ ნაშრომებში. მან აღწერა საკუთარი რეაგირების ფორმები — ინდივიდუალური უკუკავშირი, დამატებითი დრო ნაშრომის შესასწორებლად, ზეპირი განხილვები და ხელით შესრულებული დავალებები, რაც ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობასა. მან აღნიშნა, რომ AI მნიშვნელოვნად შეცვლის სწავლების ფორმებსა და შეფასების მიდგომებს, თუმცა ვერ ჩაანაცვლებს ადამიანის კრეატიულ და ანალიტიკურ უნარებს.

კომისის წევრები შეთანხმდნენ რომ რევიშვილი მარიამი წარმოადგენს მოტივირებულ და პერსპექტიულ მკვლევარსა და პედაგოგს, რომლის პროფესიული ინტერესები და კვლევითი პოტენციალი სრულად შეესაბამება ასისტენტ-პროფესორის პოზიციის მოთხოვნებს. იგი ახდენს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების ინტეგრაციას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფაკულტეტის სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებას განათლების ფსიქოლოგიის მიმართულებით.

დაადგინეს:

1. თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტის **ასისტენტ-პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე (ერთი საშტატო ერთეული – „ბ“ კატეგორია) გამარჯვებულად ერთხმად გამოცხადდეს **მარიამი რევიშვილი**.
2. შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებგვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

ხელმოწერილია:

კომისიის თავმჯდომარე: [illegible]

წევრები: [illegible]